ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლება სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ზუგდიდის საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი

1991
ხუთშაბათი
3
იანვარი
№ 2 (10395)
ფასი 5 კაპ.

საახალწლო განწყობილებათა მოზაიკა

## ჩქმ ჰა ბალიკი აგვიყვანს მზემდე

კიდევ ერთი ახალი წელი გაუთენდა ჩემს ძირძველ, პრეისტორიულ კოლხეთს, ოქროს საწმისის ქვეყანას, სრულიად საქართველოს. ხალხს, რომელიც თავისი მისტერიალური სიბრძნით დღესაც ანცვიფრებს ცივილიზებულ მსოფლიოს.

მიდის, მიჰრიალებს მძიმედ, ხვნეშით ჩვენი თავისუფლების ურემი, და, მაცხოვარმა ინებოს მისი კეთილად მისვლა საბოლოო დანიშნულებამდე. მომავალი წელი მინდა ქართლის მატიანეში ჩაიწეროს დიდი შერიგების, თანხმობის წლად, ჩვენს საერთო მტერზე—ველიკორუსულ იმპერიულ ამბიციებზე გამარჯვების წლად. ამისათვის კი რაც არის საჭირო, ჩემმა ხალხმა კარგად უწყის: შინაგანი სიმტკიცე, რკინისებური ნებისყოფა, ერთსულოვნება და რაც მთავარია, მუხლჩაუხრელი შრომა და გარჯა დასუსტებული მამულის აღსადგენად.

მინდა ყოველ ჩემს თანამემამულეს, საქართველოს კეთილგონიერ და ერთგულ შვილს ახალმა წელმა მოუტანოს მხოლოდ სიხარულის ცრემლი, შეუფერხებელი მიზნების აღსრულება, გაწბილებული იმედების გამართლება. ერთი სიტყვით, მინიმალური ნაღველი და მაქსიმალური ადამიანური ბედნიერება.

ზ. ცხონდია.

## მ ო მ ი ლ ო ც ნ ი ა

ახალი წლის მობრძანებისას ყოველი ჩვენგანის ფიქრი ჩვენი მრავალჭირნანახი სამშობლოს სვე-ბედს დასტრიალებს. და იგი ამჯერადაც რაღაც კონკრეტული ხატის სახით შემოვიდა ჩვენს ცნობიერებაში. მამულის განცდა გიმძაფრდება, როცა „შენ ხარ ვენახის" ღვთაებრივ ჰანგებს ისმენ. სამშობლო საოცრად ახლოს მოდის შენთან, როცა ახალი წლის თოვლით გადათეთრებულ რუხის ციხის კედლებს ჩაუვლი. განა შეიძლება მშვიდად იკითხო გალაკტიონის და დიდი კონსტანტინეს ცრემლით და გულის სისხლით დაწერილი სტრიქონები.

და ბოლოს მაინც, ახალი წლის მისადგომებთან მამულის მიწიერი, ვიზუალური ხილვა ცოცხლდება მეხსიერებაში: „ტკბილია, როგორც წისქვილში მთვარიან ღამის გათევა, ტკბილია, როგორც აპრილში ტყემლების შემონათება. ტკბილია, როგორც მტევანი, ვაზზე ასხმული შავადა, და სიყვარული, უებრო, მოსული თავისთავადა".

სულითა და გულით ვულოცავ ყოველ ზუგდიდელს ახალი წლის მობრძანებას, დაე, ყოფილიყოს ის ადამიანური ბედნიერების მომტანი მათთვის.

მაყვალა ნარმანია.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

„არსებული უქმე დღეების გაუქმებისა და ტრადიციულთა აღდგენის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118; 1977 წ., № 11, მუხ. 158) და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 64. უქმე დღეები**

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არ მუშაობენ შემდეგ უქმე დღეებში:

1 იანვარს—ახალ წელს;

7 იანვარს—უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღეს;

19 იანვარს—ნათლისღებას—უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს განცხადების დღეს;

უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს (თარიღი გარდამავალია);

მიცვალებულთა მოხსენიების დღეს (აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი, თარიღი გარდამავალია);

26 მაისს—საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს;

28 აგვისტოს—ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარიამობას);

14 ოქტომბერს—მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღეს;

23 ნოემბერს—გიორგობის დღეს.

უქმე დღეებში დასაშვებია მხოლოდ ისეთი სამუშაოები, რომელთა შეჩერება შეუძლებელია საწარმოო-ტექნიკური პირობებით (უწყვეტად მოქმედი საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია), სამუშაოები, რომლებიც გამოწვეულია მოსახლეობის მომსახურების აუცილებლობით, აგრეთვე გადაუდებელი სავარემონტო და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები".

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ დებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 5, მუხ. 109).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია,

თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 ივნისის ბრძანებულება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ" (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981., № 6, მუხ. 108).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

## მეარენდეები

შრომის არენდული ფორმა: მთელ რიგ გაუგებრობებთან იყო დაკავშირებული, რაც სიახლეს თან სდევს ტრადიციულად. სიახლეც არის და სიახლეც. არ არის ადვილი შეეგუო ისეთ საქმეს, რომლისაგან არ იცი, რას მოელი, მაგრამ ალბათ და სიახლისადმი ინტერესმა სძლია აგრონომ ჟორა ფიფიას, როცა სამი წლის წინ ჩხორიის კოლმეურნეობაში გაიპიროვნა 6 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, პლანტაცია დაბალმოსავლიანი იყო და საჭიროებდა ორმაგ შრომას, როგორც იტყვიან, სჭირდებოდა „გამოყვანა", რვა პენსიონერი შემოიკრიბა მეარენდემ. შეიმუშავეს პროგრამა, დადეს ხელშეკრულება კოლმეურნეობის გამგეობასთან და.. დაიწყო მკლავებდაკაპიწებული შრომა, ჟორას მხარი პირველებმა აუბეს გრიშა ფიფიამ, გამჭრიახმა და მეურნე კაცმა, ჩაის მოვლა-მოყვანის ოსტატებმა: ბედიშა ქარდავამ, ნელი ხაბურზანიამ და სხვებმა. პირველ წელს დიდი ჯაპაწყვეტა დასჭირდათ მეარენდეებს, თითქმის ყველა ბუჩქს სჭირდებოდა ადამიანის ხელი. მალე ფართობები ჩააყენეს მოსავლიანთა რიგებში და 35 ტონის ნაცვლად აწარმოეს 42 ტონა ჩაის ნედლეული, შემდგომ ორ წელიწადში ერთი ჰექტარიდან შემოიმატეს და ნაშუალო ჰექტარზე მოსავლიანობა 10 ტონამდე აიყვანეს. წელს 7 ჰექტარიდან 64 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 74,8 ტონა ჩაის ფოთოლი. დაიხარჯა ღიღძალი ენერგია. გაუჩნდათ მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხი, ზენ მთიელები და ბარელები აქ აზე, უზენაესი ექცევი მისი გავლენ ზმალლდა აგრონომიის ბიძიებათა კომპლექსის გატარების შედეგები.

—სტიმული ისევ და ისევ წარმოებული პროდუქციიდან მიღებულ ამონაგებზეა დამოკიდებული—ამბობენ მეარენდეები. დანახარჯების გათვალისწინებით კილოგრამ ჩაიზე მეარენდეებმა უნდა მიიღონ 70 კაპიკი და შესაძლოა მეტიც, მაშინ როდესაც საზოგადოებრივ სექტორში იგი არ აღემატება 40 კაპიკს.

გითხვას, თუ რა აზრისაა არენდა...

## გასათვალისწინებელია სამუშაოს სპეციფიკა

...ული შრომის მომავალ პერსპექტივაზე, კვალიფიციური აგრონომი ასე გამოხატავს;

—არ ვიცი, რა მოგახსენოთ, ეს საკითხი ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია, გლეხურ მეურნეობაზე გადასვლას ერთნაირად ვერ შეძლებენ მთიელები და ბარელები. სამუშაოს სპეციფიკასთან გვაქვს საქმე. არენდაზე მოგახსენებთ, ეს არ არის თავისუფალი წარმოება. მაინც დიდად ხარ დამოკიდებული კოლმეურნეობაზე, უზენაესი ექცევი მისი გავლენის ქვეშ. არაა ხელმისაწვდომი ტექნიკაც. მჯერა, რომ გლეხური შრომის უფლება მოიპოვებს უპირატესობას, მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა, მეორე—თუ ვის ხელში იქნება საწარმოო ძალები—ტექნიკა. მეარენდეებს გვიჭირს დაქირავებული ტექნიკით შრომა და სწორედ ეს გვაფერხებს მის მომავალ ბედზე.

ბ. აბულაძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული ძალები ყველაფერს გააკეთებენ

მოძღვარი, აღმზრდელი, ყოველ საზოგადოებას სჭირდებოდა. იგი ყოველ დროს დაფასებული იყო. ახლა კი...

სავალალო სოციალურმა ყოფამ თითქოს ფუნქცია დაუკარგა მას, ვის სიკეთისა და საქმეზე თაობები იზრდებოდნენ, ვინც იყო შარავანდი ქვეყნისა, ხალხის ზნეობისა და ინტელექტის საყრდენი.

ბავშვები სკოლიდან გარბიან, ამტვრევენ ფანჯრის მინებს, აღარა აქვთ ცოდნის რწმენა, უხეშობენ, უწყალონი და უნდონი ხდებიან...

ყველაფერი თურმე მასწავლებლის ბრალია!

საქმე იქამდე მივიდა, რომ საზოგადოებას უფრო ადვილად შეუძლია ყური მასწავლებელს აუწიოს, ვიდრე მოსწავლეს. მასწავლებელი მოითმენს, მორჩილის პროფესიაა მასწავლებლობა: მოსწავლეს კი..., აბა, ხელი მიაკარონ ყურზე! (ვილაცას ხომ უნდა აეწიოს ყური).

მინდა მკითხველს ქრისტეს იგავი შევახსენო: „აჰა, გამოვიდა მთესავი თესვად.

ხოლო თესვისას ზოგი მარცვალი გზის პირას დავარდა, და მოფრინდნენ ფრინველები და აკენკეს იგი.

ზოგიც ქვიან ადგილას დავარდა, სადაც ბლომად არ იყო მიწა, და მალე აღმოცენდა, ვინაიდან ნიადაგი არ იყო ღრმა.

მაგრამ ამოვიდა თუ არა მზე, დაჭკნა, რადგან ფესვი არ ჰქონდა, გახმა.

ზოგი კიდევ ეკალ-ბარდებში ჩაცვივდა, და ამოვიდა ეკალი და ერთიანად მოაშთო ყველა.

ხოლო ზოგი პოხიერ ნიადაგზე დაეცა და ნაყოფიც გამოიღო! ზოგმა ასი, ზოგმა სამოცი და ზოგმაც ოცდაათი".

მასწავლებელი მთესველს მაგონებს. მის სიტყვათაგან ზოგი გზისპირს ვარდება და ქრება, ზოგი ქვიან ადგილას. ზოგი ეკალ-ბარდებში და ზოგიც პოხიერ ნიადაგზე!

ნიადაგს კი საზოგადოება ქმნის.

აბა, რა ნიადაგს უნდა ქმნიდეს დღეს საზოგადოება? აი, ჩვენი ცხოვრების დღევანდელი ზოგადი სურათი: გარბის, გამორბის ხალხი, ყველა რაღაცას იტაცებს (უკვე აღარ იპარავენ), ყიდის როგორც უნდა იმ ფასებში, ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი იშოვოს, მძვინვარებს აღვირახსნილი სპეკულაცია. ვისაც ფული მოუგროვებია, კვლავ ისინი პირველობენ, ყველაფერზე რიგია, თუ გამოჩნდა რაიმე... რიგში დღესაც არ დგანან ბოხოლები. მათი დრო ყოველთვისაა.

აი, ასეთ სოციალურ გარემოში ცხოვრობს დღეს ხელფასს მაცქერალი. ვინ უნდა დააჯეროს დღეს, რომ ნიჭიერი ლატაკის ცხოვრება სჯობს უნიჭო საქმოსნის ცხოვრებას?!

მსხვერპლგაღებაა დღეს მასწავლებლობა.

სწორია, რომ ბევრ პედაგოგს აკლია ოსტატობა, პროფესიონალიზმი. ვისი ბრალია, ვინ გაყიდა სული და დიპლომები?

ესეც, ხომ ჩვენი დამახინჯებული ყოფის ბრალია.

მასწავლებელი ახსოვს კი ვინმეს? ჩვენს ბოლო კონფერენციაზე ბატონი მდივანი დაგვპირდა, მასწავლებელთა უფასო მგზავრობას დავაწესებთო. პირდაპირ სასაცილოა! ჩვენ ასეთი დამამცირებელი შეღავათები არ გვჭირდება. ანდა რა სამარცხვინოა ის მაქინაცია, გააწილებას რომ ეძახიან. დიდი ამბით დავიბარებენ დირექციის წარმომადგენლებს, აქტებით ჩაგაბარებენ ნოლდაგადასულ იმპორტულ საქონელს (სასაცილო რაოდენობისას) და თითქოს პატივი დაგდეს. შემრცხვა, როცა პირველ საშუალო სკოლაში ასეთი განაწილებული საქონელი მოიტანეს.

ჩვენ ნივთები კი არა, ნდობა და თანადგომა გვჭირდება, გვინდა საზოგადოებამ იწამოს, რომ რა გარდაქმნებიც არ უნდა მოახდინო დღეს სკოლაში, ყოველივე უნაყოფო იქნება, სანამ ჩვენი სოციალური ყოფა არ შეიცვლება.

მძიმე მემკვიდრეობა მიიღო ახალმა მთავრობამ, მაგრამ გვჯერა, ეროვნული ძალები ყველაფერს გააკეთებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მ. ლაზაძე,
ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლის სიტყვიერების მასწავლებელი.

# ამაზს ასე უნდა დაფასება?

**საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს რესპუბლიკური რადიო-სატელევიზიო გადამცემი ცენტრის მთავარ ინჟინერს დ. ქავთარაძეს, პროფკომიტეტის თავმჯდომარეს ზ. ფაილოძეს და შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეს ზ. ადამიას.**

1990 წლის 27 დეკემბერს გაზეთ „ოდიში" გამოქვეყნდა თქვენი ერთობლივი წერილი ზუგდიდის სატელევიზიო გადამცემ სადგურში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

მართალია, ყველაფერს იტანს ქაღალდი, მაგრამ ადამიანის გული ქაღალდი ხომ არ არის, გაუძლოს ამდენ უსამართლობას, დაუმსახურებელ კრიტიკას. არა და თქვენს წერილში ჩვენს მიმართ წაყენებული ბრალდებები არ შეეფერება სინამდვილეს.

ბოლო დროს, თქვენ წერთ ერთ ადგილას, ბოლო დროს კი არა ეს რამდენიმე წელიწადია რაც ჩვენ ავტეხეთ განგაში ზუგდიდის სატელევიზიო სადგურში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რომლის მიზეზი მისი ყოფილი უფროსი, ინდიკო გვარამია გახლავთ, გვარამიამ სადგური გაავსო მკვდარი სულებით და ჩვენ ორ სამ კაცს გვიხდებოდა მათ მაგივრად მუშაობა მთელი 13 წლის მანძილზე. ვმუშაობდით უქმე დღეებსა თუ ღამის საათებში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. არც ერთ წელს არ გვისარგებლია კუთვნილი შვებულებით. სად იყო შემცვლელი. დღეღამეს ვასწორებდით, ოღონდაც სადგურს ემუშავა ნორმალურად. საკუთარ ოჯახად მიგვაჩნდა სატელევიზიო სადგური და ამ შრომის შეფასების ნაცვლად მტრად გადაგვეკიდა გვარამია. ასეთი უმადურობა? არ იკითხავთ რატომ? ჩვენ მას მოვთხოვეთ კანონით გათვალისწინებული საკითხების მოწესრიგება, კვალიფიციური კადრებით სადგურის დაკომპლექტება. გვარამიას არ მივეცით საშუალება შეენახა მკვდარი სულები. თქვენი სიტყვით გვარამიამ იმასაც მიაღწია, რომ ერთერთი ჩვენგანი, კერძოდ შ. როგავა აიძულა წასულიყო ჩვენგან. კაცი რომელიც ყოველ წუთს იმაზე ფიქრობდა ჰქონოდა სატელევიზიო სადგურს სარეზერვო დანადგარები, ყოფილიყო წესრიგი და ხარისხიანი გადაცემები, გვარამიამ თავიდან მოიშორა. ამას მოჰყვა ის, რომ ძველი დანადგარები გაიცვითა და შეცვლაზე არავინ ფიქრობს. ამჟამად ზუგდიდის სატელევიზიო სადგური კატასტროფულ მდგომარეობაშია და ყველაფერი ეს საბოლოო ჯამში ჩვენ გადმოგვაბრალეთ. ერთხელ მაინც ყოფილხართ ზუგდიდის სატელევიზიო სადგურში და გინახავთ ის შემაშფოთებელი მდგომარეობა, რომელიც იქ სუფევს? თუ ყოფილხართ და არ შეგაწუხათ იქ გამეფებულმა უმსგავსოებამ, ნამდვილად გასაკვირია. ი. გვარამია წლების მანძილზე ბოროტად იყენებდა თქვენს ნდობასა და არავის და არაფერს არ უწევდა ანგარიშს. დაქცევამდე მიიყვანა სადგური, სჩადიოდა ათასნაირ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას. ამის თაობაზე ჩვენ არაერთხელ მივმართეთ ზემდგომ ინსტანციებს, პროკურატურას, მაგრამ ჩვენს საჩივრებსა და განცხადებებს შედეგი არ მოყოლია. თქვენს მიერ გამოყოფილი კომისიაც ცალმხრივად მიუდგა საქმეს. მათ მხოლოდ გვარამიას მიერ მიცემული ინფორმაციებიდან გააკეთეს დასკვნები. თქვენც, როცა სხვა სარწმუნო არაფერი გქონდათ, კომისიის მიერ მოტანილ მასალებს დაეყრდენით და ჩვენ გამოგვიყვანეთ დამნაშავედ. ასე, რომ ის რაც ჩვენი მისამართით გამოქვეყნდა გაზეთ „ოდიშის" 27 დეკემბრის ნომერში, აშკარა ცილისწამებაა. ამას ჩვენ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ.

მ. ბრიბოლია,
ნ. ჩილაჩავა,
შ. როგავა,
გ. როგავა,

**რედაქციისაგან.** ძნელია დასკვნა რომელი მხარეა მართალი, მსჯავრმდებლის მოვალეობას რედაქცია ვერ იკისრებს. მაგრამ ერთი რამ ფაქტია, მოსახლეობა მეტისმეტად გაწამებული და განაწყენებულია ტელეგადაცემათა უხარისხობის გამო.

ტელემაყურებელთა გარკვეულმა ნაწილმა ჩვენი გაზეთის 27 დეკემბრის ნომერში ზუგდიდის სატელევიზიო გადამცემ სადგურში შექმნილი მდგომარეობის შესახებ კოლექტიური წერილის გამოქვეყნებამდე არც კი იცოდა, რომ ტელეგადაცემების შეფერხებების საქმეში თავის „წვლილი" სატელევიზიო სადგურის მუშაკებს მიუძღოდა.

დროა ბოლო მოეღოს კინკლაობას, ურთიერთ გადაბრალებას და დადანაშაულებას. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი, ამ საქმეს თავი უნდა მოაბას კომპეტენტურმა კომისიამ სპეციალისტების მონაწილეობით. ვისა აქვს უფლება ბლოკირება გაუკეთოს ისეთ სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტს, როგორიცაა სატელევიზიო გადამცემი სადგური. ერთეული ადამიანების პირად კაპრიზებს, მხარეთა დაუსრულებელ დავას და კინკლაობას არ უნდა შეეწიროს ხალხის ინტერესები.

ტელევიზია დღეს ჩვენი სულიერი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, მასობრივი ინფორმაციის ერთერთი ყველაზე საუკეთესო საშუალებაა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის რომ მოსახლეობამ შეუფერხებლად მიიღოს საკავშირო და რესპუბლიკური ტელეგადაცემები.

იაკობ გოგებაშვილი — 150

# გიორგი ბრწყინვალე

## (1318 - 1346)

როცა დიმიტრი მეფე მონგოლთა ურდოში მიდიოდა, მისი საყვარელი ცოლი ნათელა ახალციხის გზას დაადგა. იგი მიისწრაფოდა თავის მამასთან, მესხეთის მბრძანებელთან და თან მიჰყავდა თავისი ჩვილი ვაჟი გიორგი, რათა მყუდროებაში უშიშრად აეზარდნა; ნათელა იმ დროს პირველ ქალად ითვლებოდა მთელს საქართველოში მაღალი ჭკუით, მტკიცე ხასიათით, კაცთმოყვარე გულით, მამულიშვილობითა და განათლებით. ამიტომ მან თავისი ვაჟი გიორგი ჩინებულად აღზარდა. მასში განხორციელდნენ იშვიათნი ღირსებანი მამისაცა და დედისაც, როგორც თამარ მეფეში.

ამიტომ გახდა თუ არა სრულ წლოვანი და ავიდა მამის ტახტზე, გიორგიმ ბრძნულად დაიწყო მართვა სამეფოსი. თავდაპირველად ალაგმა ოსნი, რომელნიც გიორგის მცირეწლოვანობის დროს მთებიდან ჩამოესივნენ ქართლსა და ცარცვა-გლეჯით საქმე გაუჭირეს. რამდენიმეჯერ დაამარცხა, ხარჯი დაადო და თავისი ერისთავები დაუყენა, მერმე შეუდგა ალაგმვას თავგასული ერისთავებისას. ზოგნი დასაჯა თანამდებობის ჩამორთმევით, ზოგნი კი, უფრო ბოროტნი და აბეზარნი, სიკვდილს მისცა. მათ მოადგილედ დანიშნა ნიჭიერნი ერთგულნი და ქვეყნისათვის თავდადებული ქართველნი. სასულიერო საქმეებიც უკეთ მოაწყო. აქაც უღირსნი გადააყენა და ღირსეულნი დააყენა უფროსებად. როცა დაამყარა სრული წესიერება თავის სამეფოში, შეუდგა საქართველოს ერთობის აღდგენას. მაშინდელს იმერეთის მეფეს ძლიერ ემდურებოდნენ იმერნი და იწვევდნენ თავისთან გიორგისა. ამანაც ისარგებლა ამ შემთხვევით, გადავიდა ჯარით სურამის მთაზე, დაატყვევა იქაური მეფე, მეფობა ჩამოართვა, ერისთავად გახადა და დასავლეთი საქართველო შემოუერთა აღმოსავლეთის საქართველოსა. კვლავ აღმობრწყინდა მზე საქართველოს ერთობისა. გაძლიერდა ქვეყანა, ზურგი გაუმაგრდა, წელში გაიმართა. გიორგიმ აღარ დააყოვნა და გაილაშქრა მონგოლებზე. დაამარცხა იგი რამდენჯერმე, საქართველოს არ ემარედან მთლად გარეკა და სრული [illegible] მიანიჭა ერსა. ამითი არ დაკმაყოფილდა. დაიპყრო ყველა ქვეყანა კასპიის ზღვამდე. დაამარცხა მოუსვენარი ლეკებიც და ყველას ხარჯი დაადო. მთელი აქეთი კავკასიონი, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, გახდა საბრძანებელი გიორგი მეფისა. განახლდა დიდებული დრო თამარ მეფისა, აღსდგა საქართველო, ჯანღონით აივსო, დიდებით შეიმოსა.

შეადგინა გიორგი მეფემ კანონები ქვეყნის გამგეობისა და მართვისა, წმინდა ზნეობისა, ქვეყნის სამსახურისა. დაარქვა ამ კრებულს „ძეგლის—დება" და გამოსცა სახელმძღვანელოდ თავის ქვეშევრდომთათვის.

ასეთი სიძლიერითა და სიბრძნით გიორგიმ მართა მთელი საქართველო ოცდარვა წელიწადს სწორედ იმდენსა, რამდენს წელსაც იმეფა თამარ მეფემ. მადლიერმა ერმა დაარქვა მას ბრწყინვალე გიორგი და აქამომდე ამ სახელით იხსენიებს მას.

ნაწყვეტი იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებთა კრებულიდან— „საგანძური"

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

# ავადმყოფთა საკეთილდღეოდ

რედაქციამ მიიღო რამდენიმე მოქალაქის ერთი და იგივე შინაარსის წერილი, სადაც სულით ავადმყოფთა მშობლები გამოთქვამენ წუხილს ზუგდიდის რეგიონში მძიმე ავადმყოფთათვის სტაციონარული მკურნალობის შესაძლებლობის უქონლობის გამო.

ვფიქრობთ, ამ საკითხზე ინტერესს მოკლებული არ იქნება ინტერვიუ ზუგდიდის სარაიონთაშორისო ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერის მთავარ ექიმ ბ. შეროზიასთან.

—რა შეიძლება ითქვას ზუგდიდის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერის ფუნქციონირების შესახებ?

—დისპანსერი შვიდი წლის წინ გაიხსნა, როგორც ცალკე, სამკურნალო დაწესებულება. დღიდან დაარსებისა, ფსიქიატრთა მუშაობა წარიმართა ავადმყოფობის დროული გამოვლინების, დიაგნოსტირების, მკურნალობის და რეაბილიტაციის მიმართულებით. ბევრი რამ გაკეთდა საზოგადოებაში სულით ავადმყოფთა მიმართ კეთილგანწყობის, მზრუნველობის ატმოსფეროს შექმნისათვის.

ჩვენი დისპანსერი სადღეისოდ ატარებს ფსიქიური ავადმყოფების, ნარკომანების, ალკოჰოლიზმით დაავადებულების დისპანსერულ მეთვალყურეობას და ამბულატორიულ მკურნალობას. ის ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ სტაციონალურ მკურნალობას იგზავნებიან ქუთაისის ან აფხაზეთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, რაც გარკვეულ სიძნელეებს უქმნის ავადმყოფის პატრონს, ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკებს, ზუგდიდის სამედავტოსატრანსპორტო გაერთიანების მუშაკებს სულით ავადმყოფთა დროულ ეტაპირებაში სტაციონალური მკურნალობის მიზნით.

—ხომ არ მომწიფდა საკითხი ზუგდიდში სარაიონთაშორისო (ზუგდიდი, მესტია, წალენჯიხა), ფსიქიატრიული საავადმყოფოს გახსნის შესახებ?

—დიახ, ეს საკითხი კარგა ხანია დგას დღის წესრიგში და მის გადაწყვეტაში რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროსთან ერთად მხარი უნდა დაგვიჭირონ ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა. საავადმყოფოს გახსნა საშუალებას მოგვცემს როგორც სულით ავადმყოფთა, ასევე ნარკომანიით დაავადებულთა ანონიმური სტაციონალური მკურნალობისა, რადგანაც დაავადებულთა დიდი ნაწილი ითხოვს დახმარებას, რაც ამბულატორულად მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

—საავადმყოფოს გახსნის შემთხვევაში ხომ არ წამოიჭრება კადრებთან დაკავშირებული პრობლემა?

—კადრების დეფიციტი ჩვენთან მოხსნილია, გვყავს კვალიფიციური ფსიქიატრები, როგორც მოზრდილთა, ასევე ბავშვთა და მოზარდთა, ნარკოლოგი.

—გაკმაყოფილებთ თუ არა დღეს თქვენი სამუშაო პირობები?

—სამუშაო პირობებზე რა მოგახსენოთ. დისპანსერი მოთავსებულია არატიპიურ შენობაში გამარჯვების ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე და საჭიროებს გადაუდებელ კაპიტალურ შეკეთებას. არ გვყოფნის კაბინეტები, დაარსების დღიდან დისპანსერი ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის გარეშე. რაზედაც არაერთხელ მივმართეთ კოლექტიური წერილითაც კი სათანადო ორგანიზაციებს, მაგრამ პასუხიც აღარ გველირსეს. ასეთ პირობებში ცხადია, გვიძნელდება ავადმყოფებთან ურთიერთობა. და ბოლოს ვთხოვთ საზოგადოებას დასმული საკითხის ირგვლივ გამოთქვან თავიანთი აზრი.

ესაუბრა რუსიკო მიქენაია.

## აკაკი წერეთელი — 150

აქ გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ აკაკის ცხოვრების ერთ ეპიზოდზე. 1909 წლის ზაფხულში სამოცდაათ წელს მიტანებული, ჯანგატეხილი პოეტი საფრანგეთს გაემგზავრა.

თავისი მუდმივი სენი—უფულობა—აქ განსაკუთრებით სტანჯავდა, მაგრამ საფრანგეთის დედაქალაქში რამდენსამე ხანს სოთ. ნურავინ იტყვის, რომ არის კაცობრიობა და არა ნაციაო, ეროვნებაო და ნუც მინდა, რომ პირდაპირ კაცობრიობას ვემსახუროო!... ფერადოვანი კაცობრიობა სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი „რამეობა“ უნდა შეიტანოს, რომ

## ახალგაზრდობის მოძღვარი

მაინც დაჰყო და არაერთი ახლობელი ადამიანი მოინახულა.

ვიდრე პარიზიდან დაბრუნდებოდა, იქ სახწავლებლად წასული ქართველი ახალგაზრდების ჯგუფს შეხვდა კაფე „ვოლტერში“ და მრავალი ყურადსაღები რჩევა მისცა, მამაშვილურად დაარიგა ისინი. აქვე გაიხსენა თავისი ახალგაზრდობა, სტუდენტობის წლები პეტერბურგში, ქართველთა პირველი სუსტი, მოკრძალებული ნაბიჯები სწავლა-განათლების შესაძენად და პარიზში მყოფთ უთხრა, რომ მათ ცადილებით უკეთესი პირობები ჰქონდათ საამისოდ. აკაკი სავანებლად უსვამს ხაზს ამ უპირატესობას. წარმოთქმულ სიტყვაში მოძღვრის დიდ სიბრძნესთან ერთად ჩანს ბრწყინვალე ორატორული ნიჭი, მსმენელთა სულში ჩაწვდომის იშვიათი უნარი:

„თქვენ იზრდებით აქ, ამ თავისუფლების ქვეყანაში, სადაც სხვა რომ არა იყოს რა, ხელს მაინც ვერაფერი შეუშლის თქვენს გრძნობა-გონების გადიდებას, აი, ამიტომაც თქვენგან მეტს თხოულობს სამშობლო და ჩვენი ნაკლი თქვენ უნდა შეავსოს საკაცობრიო ზღვა!... თვითეული კაცს თავის ნაციასთან თანაშეზრდილს, უფრო ნაყოფიერად შეუძლიან იმუშაოს სამშობლოში, ვიდრე გარეთ და მართლაც, ვისაც თავისი საკუთარი მშობელი არ უყვარს, იმას შეუძლია მშობლად სხვა შეიყვაროს? ვინც სამშობლოს არ ემსახურება, იმას შეუძლია, რომ უკეთ სადმე გარეთ იმსახუროს? ყველა ამას მხოლოდ გულგატეხილობა აფიქრებინებს ადამიანს და თქვენ კი არ შეგშვენით გულგატეხილობა... თქვენ ეკუთვნით იმ ხალხს, რომელმაც რუსთაველის პირით გაიანდერძა: „პირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა, ვით ქვითკირსა“. და იწვრთნებით იმ ქვეყანაში, სადაც გენიოსმა რიშელიემ წარმოსთქვა: „ახალგაზრდის ლექსიკონში სიტყვა „არ შეიძლება“, „არ შემიძლიან“ არ უნდა ეწეროსო“. თქვენც ყოველგვარი გასაჭირი და განსაცდელი უნდა აიტანოთ, უეჭველად მიაღწიოთ მიზანს და მომზადებული დაუბრუნდეთ სამშობლოს“.

ნაწყვეტი ე. კვიტაიშვილის სტატიიდან: „აკაკი— ერის მსახური“.

# სოფლის არენდატორები

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ინგირელ საკვებმომპოვებლებს, მხვნელ-მთესველებს თუ მექანიზატორებს. ყველას უნდა აწარმოოს მეტი რძე და ხორცი მცირე დანახარჯებით.

დროზე შეუდგნენ მზადებას ზამთრისათვის. წელს სიმინდი ხსილოსედ და მწვანე საკვებად დაითესა 46 ჰექტარზე. სანიმუშოდ მოუარეს ნათესებს და უდანაკარგოდ აიღეს მოსავალი.

ტრანშეებში ჩადებულია ვიტამინური 440 ტონა სასილოსე მასა, მოითიბა და დაზვინულ იქნა 100 ტონა თივა. უხვად მოიმარაგეს ჩალა. 9 ჰექტარზე უთესიათ ტურნეფსი, რომელიც პირუტყვს მწვანე საკვებად ეძლევა.

არენდატორები ლეილა ჭიჭილავა, კოტე გახარია და გივი ბერულავა 50 ძროხას უვლიან. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ ზამთარში მაღალი წველადობის შესანარჩუნებლად.

ჯ. ფილფანი.

ტყეს ხელყოფ — ქვეყანას მტრობ!

# კვლავაც უკომპრომისო ვიქნებით

დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოში ბუნების დაცვის ღონისძიებებს უპირველესი ადგილი დაეთმობა. ჩვენი თაობის ვალია მივუსწროთ, გადავარჩინოთ ის, რაც დაკნინდა და დაზიანდა ათეული წლობით გამეფებული უკონტროლობითა და განუკითხაობით. ხაგანგებო ყურადღებასა და ზრუნვას ითხოვს ჩვენი რეგიონის ტყის რესურსები. აი, რა განაცხადა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ზუგდიდის სატყეო მეურნეობის დირექტორმა ირველ ჯალაღონიამ:

■ ■ ■

ზუგდიდის სამეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის ტყეებს, რომელიც ძირითადად განლაგებულია 24 საზოგადოებრივი მეურნეობის დიდი და საშუალო დაქანების ფერდობებზე, აქვს ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, მინდორსაცავი მნიშვნელობა და მიეკუთვნებიან პირველი ჯგუფის ტყეების კატეგორიას.

არსებულ მასივებში წლების მანძილზე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ უსისტემო და უნებართვო ჭრებისა და პირუტყვის უმეთვალყურო ძოვების შედეგად ძალზე დაეცა ტყეებიის ხარისხობრივი მაჩვენებლები და დაირღვა სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციები. ამის შედეგად რაიონში, როგორც ტყიანობის პროცენტი, ასევე ერთ ჰექტარზე კორომის სიხშირე ძალზე დაბალია. საერთოდ, ტყის მარაგი საშუალო რესპუბლიკურ მონაცემებთან შედარებით დაბალია. ასე მაგალითად: რაიონში ტყიანობა 21 პროცენტია, ერთ ჰექტარზე ტყის კორომის სიხშირე 0,5 პროცენტი. შემატება —2,81 კუბური მეტრი, ხოლო ტყის მარაგი —54 კუბური მეტრი.

შესაბამისად რესპუბლიკაში ტყეს უკავია 39 პროცენტი, სიხშირე ერთ ჰექტარზე —0,7 პროცენტია. შემატება 5 კუბური მეტრია, ტყის მარაგი 1 ჰექტარზე 151 კუბური მეტრი.

ჩამოთვლილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ დღეისათვის ჩვენს ტყეებს მოვლა-დაცვა სჭირდება, როგორც არასოდეს. და ამიტომ რაიონის მოსახლეობისაგან უფრო მეტი ამოდგომა და დახმარება გვჭირდება.

ბოლოსდაბოლოს ყველამ უნდა იცოდეს და გაიგოს, რომ ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსებიდან ამოუწურავი არცერთი სახე არ არის. და მით უფრო ტყეს განსაკუთრებული დაცვა და მოვლა სჭირდება. ის იგივე ჰაერი, წყალი და მიწაა, ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის სიცოცხლეა.

მოვიგონოთ და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ გენიოსი ვაჟა-ფშაველას ბრძნული სიტყვები: „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა“... ამ აზრს ვინც ღრმად გაითავისებს, ის არავითარ შემთხვევაში არ აღმართავს ხელს მის გასაჩანაგებლად.

მართალია, სატყეო მეურნეობის კუთვნილ ტყეებში აკრძალულია ყოველგვარი სახის ჭრები, მაგრამ ტყის გამანადგურებელ ფაქტორად კვლავ უნებართვო ჭრები და პირუტყვის უმეთვალყურეო ძოვება რჩება. ჩვენი მეურნეობის მუშაკებმა მაქსიმალურად გააძლიერეს მუშაობა ასეთი პირების გამოსავლინებლად, თუმცა მათი სრული ალაგმვა ვერ ხერხდება. უნებართვო ჭრებს მეტ-ნაკლებად ადგილი აქვს ურთის, ცაიშის, გრიგოლიშის, ნაცატუს, ოდიშის, რუხისა და რიყის უბნის ტყეებში. ამ დღეებში ტყის დაცვის მუშაკების მიერ გამოვლინებულ იქნა ხეტყის უკანონო მჭრელები.— ურთის მცხოვრებლები: ველოდი დათიკოს ძე ქირია, ბადრი შოთას ძე ფაცია, კოჩა ტარიელის ძე ქირია, რომელთაც მოჭრილი აქვთ ათეულობით რცხილა და თხმელა. ჩამოთვლილ დარღვევებზე შედგენილი მასალები გადაეგზავნა პროკურატურას, ისინი დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით.

ჩვენი კოლექტივი კვლავაც უკომპრომისო იქნება ყველა იმათ მიმართ, ვინც ხელყოფს ტყეს.

გადავურჩინოთ. ქართული ტყე მომავალ დამოუკიდებელ საქართველოს. ეს ერთი და ორი კაცის კი არა, მთელი საზოგადოების საქმეა, მტკიცედ ჩავჭიდოთ ხელი ერთმანეთს და შევუვალ კედლად აღვიმართოთ საქართველოს ტყის სადარაჯოზე.

# მოვესწარ, სხვა გზა დაიწყო თქვენთვის...

ქალაქის ცენტრალიზებულ ბიბლიოთეკო სისტემაში ყოველი ახალი წლის საზეიმოდ აღნიშვნის კარგი ტრადიცია აქვთ. იგი არც ამჯერად დაურღვევიათ. კოლექტივის თანამშრომლებს ჩვეული ხალისითა და მონდომებით მოუწყვიათ საღამო, რომელიც თავისი შემეცნებითი, თუ მხატვრულ-ესთეტიკური ღირსებებით იზიდავდა მოწვეულ საზოგადოებას.

საღამოს ესწრებოდნენ ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები. ყველა ისინი, ვინც არ არის გულგრილი საქართველოში ამჟამად მიმდინარე განახლების პროცესებისადმი. ვისაც გულით სწადია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ერის სულიერი და ეკონომიკური აღორძინების საქმეში. მოსწრებულად შენიშნა შეხვედრის მონაწილემ ქალბატონმა ლუარა კვირკველიამ: ყოველი ჩვენგანი საბოლოოდ უნდა განთავისუფლდეს იმ შემზღუდველი, სტერეოტიპული წარმოდგენებისაგან, რითაც მთელი ჩვენი თაობის ცხოვრება იყო დაღდასმული. უნდა გამოვიდეთ ამ დახშული წრიდან და უფრო ახლოს მივიდეთ ერთმანეთთან. ამ სულიერი ერთიანობის გარეშე ჩვენი გამარჯვება წარმოუდგენელია.

საღამოს მონაწილეებს ახალი წლის დადგომა მიულოცეს: ქალაქის კულტურის განყოფილების გამგემ ჯ. როგავამ, მწერალმა ჯ. ქირიამ, ჟურნალისტმა ზ. ცხონდიამ, პოეტმა ზ. მოლაშხიამ, ილია მართლის საზოგადოების წევრმა ზ. კიტიამ და სხვებმა.

ამ იმპროვიზებული საღამოს წამყვანებმა არაერთი საინტერესო ნომერი შესთავაზეს წვეულთ. მხატვრული პროგრამა წარმოდგენილი იყო სიმღერით, ლექსით, ცეკვებით, გონებამახვილობით.

ალბათ დიდხანს არ დაავიწყდებათ ეს თბილი [illegible] მის მონაწილეებს [illegible] რომელსაც ლეიტმოტივად გასდევდა პოეტის გულწრფელი სტრიქონები: „ადუღდით, აჩქეფდით, აენთეთ, იალეთ, რათა დღეს ხვალინდელს უკეთესს ველოდეთ, იყავით მტკიცენი, სიმართლის გჯეროდეთ. იყავით წმინდა და მზესავით ნათელი, სულითაც, გულითაც რომ დარჩეთ ქართველი".

ბ. ბაბუნია.

რედაქტორი
აკ. მანტურია.

---

მეუღლე ეთერი, შვილები: ნინო, გოჩა. დები: თამაშა, ციალა, ლიანა, რძლები ვენერა ბულია, ნაღია ხარჩენკო. ძმისშვილები: ხვიჩა, ქეთო, თინა, მარინა, დისშვილები: ვია ქობალია, კოტე, დათო, მარინა ფირცხელავები, კახა სამუშია. სიძეები: ჟორჟი ქობალია. დემურ სამუშია. შოთა სიჭინავა. თამაზ პაჭუა, რეზო გამბაროვი. ვენად კეკუსაძე, ცოლისძმა შუქურ ხოფერია. ცოლისდები: თათუშა. ქსენია. ვენერა. ნორა. ლილი ხოფერიები. ქვისლები ჟორჟი კოკაია. შოთა გვვია. ბიძაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან
**ილია (ილუშა) აკაკის ძე ნარმანიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4. 5. 6 იანვარს. გამოსვენება 8 იანვარს 4 საათზე. ქ. ზუგდიდი. ჩიჩუას 1-დან.

---

მეუღლე ნორა ბაკარაძე. შვილები: დოდო. ნაზი. ახა, იით. ჯემალი, ზოდიკო,. დები: ნოია, მარგო, რძლები ლოტო შამუგია, ლაისიოა ჯასაშია, ნუხუ კეკელია. სიძეები დათიკო ძითაგვარია, ვაჟა კვარაცხელია, გვიო პაჭკორია. ლესტა როგავა, ელგუჯა სამუშია, შვილიშვილები ლიკა, ლელა, რუსლანი. პაატა ბერაძეები, მარიკა როგავა, ასლანი. ახრუკი. ინგა პაჭკორიები. ლაშა. დედიკა კვარაცხელიები. იკა, მაკა სამუშიები. ძმისშვილი მაკაკა. დისშვილები გუგული, მარინა ღლონტები. მზია. ლევანი მითაგვარიები. ბიძაშვილები: ძიბა. ლუბა. კუჭუჭი. ამირანი ბერაძეები. ნორა.შურა ჯაბუები. ცოლისდები: თამარი. ლენა. მარგო. ნიურა ბაკარაძეები. ცოლისძმები: ნოდარი. გენო ბაკარაძეები. ქვისლი ნოდარი არნანია იუწყებიან
**გიგი კონსტანტინეს ძე ბერაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3. 4, 5 იანვარს. დაკრძალვა 6 იანვარს ბაშში.

---

მეუღლე მარგო ლაკირბაია, შვილები: ნონა, ზურაბი, შვილიშვილი შოთა. ძმა ვასო. ძმისშვილები: თამაზი. რუსუდანი, თემური. თამილა. თამარი ძიგუები, დისშვილი თინა კალანდია. რძლები: დისშვილი თინა კალანდია, ბი: ლუშა წურწუმია, თინა მაქაცარია, ფატიმა ჯალაღონია, ია შარია. ლუცია საბეკია. სიძეები ავთანდილ შენგელია, გონელი იზორია. ცოლისდა თამარ აღონია, დეიდაშვილები: ვარდო. დავით ქებურიები. იპოლიტე მებონია. მზახლები: გენო, ნონა ჯალაღონიები, შოთა. ეთერ შენგელიები. ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან
**შოთა მეთოს ძე ძიგუას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4, 5 იანვარს. დაკრძალვა 6 იანვარს სოფელ ყულიშკარში.

---

დედა და ძმები [illegible] იუწყებიან მამიდაშვილის
**დათო რეგავას ძე კვარაცხელიას** [illegible]

---

შვილები: მერი. თინა, ნაპო ქირიები, და ნაზია აგირბაია. რძალი მარინე წიკლაური. სიძეები: იური ალმასია. ინდიკო ერემაძე, ცოლისდები: ჟენია. თათუშა. რაისა შედანიები, შვილიშვილები: მირანდა ალმასია, ნათია ქირია. თამარი. ბესო. დათო, ერემაძეები, დისშვილები: კოკოშა. თამაშა. ბონდა აგირბაიები, პალიკო. ლამარა სიჭინავები, ქეთია ჰანტურია. დეიდაშვილი ვახტანგ ეფენია. ბიძაშვილები: ანტისა. დუშა. იაკობი. ვალიკო ცხადაიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ვარლამ დიანოზის ძე ქირია.**
პანაშვიდი 3, 4 იანვარს. დაკრძალვა 5 იანვარს 16 საათზე სოფელ ოქტომბერში.

---

დედა ლამზირა. მამა რეზო. და თამუნა. ბებია ოლია. ბაბუა ჟორჟი. დეიდები: ლუიზა. მედიკო ქარჩავები, ნანა ესართია. მამიდები: მზია. ლია კვარაცხელიები. ნათელა ბარბაქაძე. ბიძები ცეზარ კვარაცხელია. კუკო ჩიქვაძე. ზურაბ გუგუჩია. ვახტანგ ახვადარიძე. მურმან ესართია. თემურ თორდია, ბიცოლები მარინა სურგულაძე, დოდო ლუკავა, დეიდაშვილები: ლელა. ლაშა ჩიქვაძეები, გოგა გუგუჩია. ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან
**დათო რეზოს ძე კვარაცხელიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 იანვარს. დაკრძალვა 5 იანვარს. გამოსვენება ზუგდიდი, ნიკოლაძის მესამე შესახვევი 11.

---

შვილობილი გივი. რძალი კლარა პითანავა. შვილიშვილები: ხვიჩა. ფატიმა. და პოლნიკა. რძლები: ვარო. თინიკო. ნანული. დისშვილები: თათუშა. ომარი. ანზორი, მანდა. მადონა. ციალა. კილასონიები. ძმისშვილები: ნათელა. გურამ. რამინ. სიძეები: ვაჟა ქირია. იგორ ბუბუტეიშვილი. დეიდაშვილები. მამიდაშვილები. ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან
**ლილუშა ანტონის ასულ ლაშხიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4. 5 იანვარს. დაკრძალვა 6 იანვარს სოფელ კორცხელში.

---

თამაზი და თორნიკე ჯიქიები ოჯახებით იუწყებიან ბიძის
**გვანჯი ბიქტორის ძე ჯიქიას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ქ. ზუგდიდის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ ლამზირა ქარჩავას შვილის
**დათოს**
გარდაცვალების გამო.

---

ოლია. სერიოჟა ჯიქიები შვილებით კოტე, ლეილა-ი, რძლით დინა ხოფერია, სიძე ელდარ [illegible] იუწყებიან [illegible]
**ვარლამ დიანოზის ძე ქირიას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე თამარა. შვილები: დათო ქანთარია. ნელი. მარკა გარდავები, და მარო. რძლები: თამარა. მერი. დოდო, ნანი, შვილიშვილები: ჯამბული, ჯულიეტა, ლორიტა ქანთარიები. მედეა. ელისო. ნანა. კახა ქობალიები. თამარი თეა გარდავები, სიძეები: კიკა ქობალია, უშანგი ანუაშვილი. ქვისლი სოლომონ ბეჟვაია, დისშვილები: ცურუ, ოქროშა. ბონდო. ვალიკო გულორდავები. ბაბი. ლამარა მოსიები. ძმისშვილები: ქვითი, იროდი, გურია. ხუხუ. ქაჩა. შულიკო. ლუზის უშანგი. არველოდი. ალიოშა. მიშიკო. მიშა. თალიკო. დადალი ქანთარიები. ვაჟა ლომაია ლეუშა შოთა შამუგიები. ცოლისდები: ქსენია ლომაია, ცოლისძმა პილა ჯანელიძე, ახლო ნათესავები იუწყებიან
**გვანჯი მიხეილის ძე ქანთარიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5, 6 იანვარს. დაკრძალვა 8 იანვარს. გამოსვენება 26 კომისრის ქ. 33.

---

შვილები: ვალიკო. ძაბული. თინიკო. ძმა იპოლიტე. და ძაბია. ალზოლილი ნანა ჩიხლაძე. სიძე სარდიონ კუკავა. რძალი ლეილა ჩერქეზია. შვილიშვილები: ლევანი. ლიანა. ირაკლი ჯიქიები. როინ. თემურ. აზა. მარინა ყალიჩავები. გურამ, მალხაზ, ზაირა კუკავები,შვილთაშვილიშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ჟენია (დუშა) გაიოზის ასული ტაბაღუა-ჯიქია.**
პანაშვიდი 3. 4 იანვარს. დაკრძალვა 5 იანვარს 4 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, დეკაბრისტების ქ. 5.

---

მეუღლე დივი. შვილები ზაზა. ნონა. მარინა. ქეთინო. მედიკო. ლალი. დები: შურა. ხუტა. ძმები: შოთა. ლეო. ჟორჟი ჯიქიები. რძლები: ჟუნა ლატარია. ნათელა ებრალიძე. ნათელა ჯიქია. სიძეები: ვალიკო შეროზია. ჯემალ ჯოლოგუა, ომარ სოსელია. მურმან ჯგერენაია. მალხაზ შამუგია. კახა გულუა. შვილიშვილები: თეონა. ჯანო. თემური. თამრიკო. ზეინაბი. ჯანინა. მაკა. ცოლისდები: კლარა. მზისა. ცოლისძმები: პიმენ. შოთა, რეზო. სერიოჟა ჯაბუები. ქვისლები: ჯუმბერ თოდუა, ალიკო ჯიქია. მზახლები: გულნარა ჯოლოგუა. ლუარა. მეგონა სოსელიები. რაისა ჯგერენაია. ნელი. ცორა შამუგიები. ფლორა. [illegible] გულუები. ანტისა დარასელია. ძმისშვილები. დისშვილები, [illegible] ახლო ნათესავები იუწყებიან
**გვანცა (ნუკრია) ბიქტორის ძე ჯიქიას** [illegible]

---

შვილები: მარიხა, ნატო, დები: მერი. მზია. შვილიშვილები: თამრიკო. რუსიკო. ირინა. ავი. სიძეები: ბესო კოკოევი. რამაზ მუმლაძე, ჟორჟი ფაცაცია, კაკო ანთელავა. ნოდარ ხვინგია, რძლები: მზია მებონია. მარინა კრასნოვა. მულები: ნინა. გულიკო. მაზლები. ხოხოტი, ზაური დარასელიები, მამიდა ქონნა. ბიძები: ლადო. ვალიკო გვილავები. მზახლები: დოდო. ზნაურ კოკოევები. კლარა, ავთანდილ მუმლაძეები, დისშვილები, ძმისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან
**ტირა არტემის ასულ გვილავა-დარასელიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 იანვარს. დაკრძალვა 5 იანვარს 4 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. ცოტნე დადიანის 14.

---

შვილები: ინეზა. ლეო. გული. ძმისშვილები: შურა. ბროლისა, ციალა. გულნარა. ვენიკო. კოტე შონიები. რძლები: ინეზა. დინარა. ეკა. სულიკო. როზა. მიმოზა შონიები. ნიურა წურწუმია. სიძეები: ბესიკ გულუა. ორდენ ბენდელიანი. კარლო ალმასია. ლუდა ბულია. შვილიშვილები: მაია. ლია. მალხაზი, ჯონი. ჯანო. გელა შონიები, შვილიშვილისშვილები ნოდარ, რუსუდან შონიები, გიორგი. ირაკლი. თინათინ გულუები. ბიძაშვილები, მამიდაშვილები. მაზლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**აკაკი ვასილის ძე შონია.**
პანაშვიდი 3, 4 იანვარს 5 საათზე. გამოსვენება 5 იანვარს ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ. 206.

---

მეუღლე თალიკო, შვილები: რომანი. ედემი. გურიელი. ლიანა. ლუიზა. ლულიკო. დალი. ძმა პალუშა. რძლები: ლილი მონიავა. ირა გახარია. მთვარისა ოყუჯავა. სიძეები იურა ჯალაღონია. ნუგზარ ანთია. როინ ბუკია. შვილიშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**გიორგი პავლეს ძე ცაავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3 4 იანვარს. დაკრძალვა 5 იანვარს სოფელ ორულუში.

---

მეუღლე ტატიანა. შვილები: მუშნი. აკაკი. ნუგზარი ნოდარი ლეიერ. რძლები კლარა მარინა. მანანა. როზა. შვილიშვილები ანზორ. ქეთინო. იამზე. გოგიტა. ძმისშვილები: ვაჟა. [illegible] ილუშა. დუნია. ლიანა. მერი. ნანული. მედეა. დისშვილები: ვანია. ცურუ. ნელიკო. ციალა [illegible] როდონაიები. ბიძაშვილები მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**ვალოდია დუტუს ძე თოდუას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4. 5. 6 იანვარს. დაკრძალვა 8 იანვარს 5 საათზე [illegible]

---

შვილები: ნოდარ. ვალინა. ნელი. კლარა. ნანა. გული გოგოხიები, სიძეები: ნოდარ ქირია. ვაჟა კიკალეიშვილი, ანზორ ბერულავა. სოსო ზეჟვაია, ალიკა თორდია, რძალი ქეთინო ხუბუტია ოჯახებით იუწყებიან
**ლიდა მიხეილის ასულ გოგოხია-მატკავას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 იანვარს 4 საათზე სოფელ ფახულანში (წალენჯიხის რაიონი).

---

ძმა ტერენტი, რძალი ქუჩა. ძმისშვილები: ლეილა. გურამი, ეთერი. ელდარი. რძალი ლელა. ციცინო. სიძე ნუგზარ სვირავა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**საშა (მაშა) ბასილის ასული თვალთვაძე-ნასარაია.**
დაკრძალვა 5 იანვარს ქ. ფოთში. გამოსვენება მშვიდობის 39.

---

მიმოზა არზიანი-ჭედია ოჯახით იუწყებს ბიძის
**ნიკოლოზ (კოლია) სარდიონის ძე არზიანის**
გარდაცვალებას.

---

მეუღლე ნორა. შვილები ელისო. თენგიზი. თემური. ბიცოლა ქიონია ჯალაღონია. ბიძა გრიშა ჯალაღონია. დეიდები: ვერა. სონია ჯალაღონიები. დეიდაშვილები: ბოჩია. ჩახუტია შენგელიები. ნესტორ. შატუ. მინუ ცირდავები. ნათელა. რაისა კვარაცხელიები. ჯემალ. სოსო, ჯუდია. თინა მებონიები. ბიძაშვილები: ნაპო. ლუდუკი. გული. კოტე. ციალა. ლიდუშა ჯალაღონიები. ცოლისძმები: მამანტი. ტარიელ. კუკური. სევერიან. ალიკო ფიფიები. ცოლისდა თამარა ფიფია. ახლო ნათესავები იუწყებიან
**შოთა ილარიონის ძე ხვიტიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3. 4, 5 იანვარს. დაკრძალვა 6 იანვარს. გამოსვენება ქ ზუგდიდი, ლენინის 29.

---

შვილები: მოკოდია. ძაბული. და თამარა. სიძეები: ევგენ ჯაკონია. ზურიკო კვარაცხელია. მერაბ ფიფია. რძლები: ლუნა ჯიშკარიანი. თამრიკო ხუნწარია. ლუბა სერბინა. შვილიშვილები ნუნუკა, კობა. ჯაკონიები დონარა. დარეჯანი. დათო. გელა. კახა. გოგიები. შვილთაშვილები: დათო. ანა კვარაცხელიები. დარია გოგია. შალვა. სალომე ფიფიები. ძმისშვილები გული. ლენა ჯიშკარიანები. დისშვილები ხუტა. დილარი. ვარდიშა კიტიები. შაქრო. ჯემალი, თამარა. ნელი. ეთერ ლაშხიები. ახლო ნათესავები იუწყებიან
**ვენერა ზოსიმეს ასულ ჯიშკარიანი-გოგიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 იანვარს. გამოსვენება 5 იანვარს 4 საათზე ქ. ზუგდიდი მაიაკოვსკის ქ 12-დან. დაკრძალვა ახალ ხიბულაში (ხობის რაიონი).

---

დისშვილები მარინა. მაყვალა. [illegible] ოჯახებით იუწყებიან [illegible] 4 იანვარს [illegible] ქუჩა 75.

---

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24 80. რედაქტორის მოადგილის 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-21-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, [illegible]

საქ. ბეჭდვისკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-28-07 ტირაჟი 8000 შეკ. №13.